



ხატია შივარდნაძე - ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი.

2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი, ქართული ენა და ლიტერატურა. 2002 წელს-ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურა, სპეციალობით ქართული ლიტერატურა.

2002-2005 წლებში იყო თსუ-ს ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის ასპირანტი.

2009-2011 წლებში სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამაზე.

2012 წელს დაიცვა სადოქტორო ნაშრომი თემაზე: „XIX საუკუნის ქართულ მწერლობასთან ტიცვიან ტაბიძის შემოქმედებითი მიმართებისათვის“ და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სწავლის პერიოდში იყო თსუ-ს ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანების აქტიური წევრი. ავტორია ორი პოეტური კრებულის და ათამდე სამეცნიერო ნაშრომის.

„ტიციან ტაბიძე და XIX საუკუნის ქართული მწერლობა“ ხატია შივარდნაძის პირველი სამეცნიერო წიგნია.

ხატია შივარდნაძე



ახალი უმაღლესი სასწავლებელი

ხატია შივარდნაძე



ტიციან ტაბიძე XIX საუკუნის ქართული მწერლობა

ტიციან ტაბიძე და XIX საუკუნის ქართული მწერლობა

საჯდია შუჯატდნაბე

ჯეჯიან Ⴤაბიბე და
XIX საუკუნის ქატთული
მწეტლთბა

გამმცემლთბა „მეტდიანი“
თბილისი 2015

წიგნში, პირველად, მონოგრაფიულად არის შესწავლილი ტიცინა ტაბიძის, როგორც პოეტისა და პროზაიკოსის მიმართება XIX საუკუნის ქართულ პოეზიასთან. დაკვირვების საგნადაა ქცეული ქართველ კლასიკოსთა – გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას შემოქმედებითი გავლენის კვალი ტ. ტაბიძის პოეზიაზე. განხილულია ტ. ტაბიძის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, ესეები, რომლებიც XIX საუკუნის ქართულ მწერლობასა და მის ცალკეულ წარმომადგენლებს ეძღვნება.

დასასრულ, განხილულია ტ. ტაბიძის ნარკვევი „ახალი ქართული ლიტერატურა“, რომელიც ქართველი საზოგადოებისათვის სულ ახლახან გახდა ცნობილი.

რედაქტორი **ლადო მინაშვილი**

რეცენზენტები: **სალომე ყუბანეიშვილი**
ქეთევან შენგელია

კომპ. უზრუნველყოფა
ქეთევან ნანობაშვილი

გარეკანის დიზაინი
თამარ გიორგაძე

© ხატია შევარდნაძე, 2015
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015

ISBN 978-9941-25-072-9

რედაქტორისაგან

ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში XIX საუკუნე უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია. იგი ერთგვარი ცენტრია ეროვნული თვალთახედვის გამოვლენის თვალსაზრისით. ერთი მხრივ, XIX ს-ის ქართული მწერლობის დამსახურებაა ძველ ქართულ მწერლობაში ეროვნულის დანახვა, წინ წამოწევა და გააზრება, ხოლო, მეორე მხრივ, სწორედ XIX ს-ის მწერლობამ მოამზადა და განსაზღვრა XX საუკუნის მწერლობის სასიათი და შინაარსი. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლა ვერ იქნება სრულყოფილი, თუ საგანგებოდ არ გავითვალისწინებთ, რას დაეყრდნო იგი, რა იმემკვიდრა წინა ხანის მწერლობიდან, ამით უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩნდება ის ნოვატორულიც, რაც XX საუკუნის მწერლობას გამოარჩევს. გასაგებია, რომ ამ დიდი ამოცანის გადაჭრა თავდაპირველად გულისხმობს ცალკეული მწერლის შემოქმედების ამ თვალსაზრისით შესწავლას.

ძალზე საყურადღებოა ამ ასპექტით ტიცციან ტაბიძის მემკვიდრეობის გათვალისწინება. სახელოვანი ქართველი პოეტი ტიცციან ტაბიძე XIX საუკუნის ქართულ მწერლობასთან მიმართების თვალსაზრისით გამორჩეული პოეტი და კრიტიკოს-ესეისტია.

ტიციან ტაბიძის XIX საუკუნის ქართული პოეზიის თემატიკურ ტრადიციებთან, გამოსახვის საშუალებებთან, განსაკუთრებით, მოგვიანო ხანის, მისი კრძალვითი დამოკიდებულება წინაპარ პოეტებთან პირდაპირ მიგვითითებს იმ დიდ კავშირზე, რაც მას, როგორც პოეტს აახლოებს XIX ს-ის ქართულ მწერლობასთან.

აღნიშნული საკითხის გარშემო ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქმულა, ბევრი საინტერესო დაკვირვება არსებობს ამ მხრივ, მაგრამ საგანგებოდ ეს კავშირები, ტ. ტაბიძის მიმართება XIX საუკუნის მწერლობასთან, არავის უკვლევია.

ხატია შევარდნაძემ მიზნად დაისახა მონოგრაფიულად შეისწავლოს ტ. ტაბიძის მიმართების საკითხი XIX საუკუნის ქართულ მწერლობასთან, როგორც პოეტისა და როგორც კრიტიკოს-ესეისტისა.

ტ. ტაბიძის შემოქმედებითი გზა XIX საუკუნის მწერლობასთან მიმართების თვალსაზრისით, როგორც წიგნის ავტორი უჩვენებს, ძალზე საინტერესოა. თავდაპირველად ყრმა პოეტის ფორმირება მოხდა კლასიკური პოეზიის გავლენით, მისი მიბაძვითა და მასზე დაყრდნობით. შემდეგ საფეხურზე არათუ დაშორებასთან გვაქვს საქმე, არამედ ერთგვარ დაპირისპირებასთან სიმბოლისტობის წლებში, მაგრამ ეს, ერთი მხრივ, ხდება ისევ კლასიკური პოეზიის გავლენით, მისგან გარიდების მოთხოვნით.

მოგვიანებით საქმე გვაქვს ისევ „მინაზე დაბრუნებასთან“ (ვ. გაფრინდაშვილი), კლასიკური პოეზიის წიაღში დაბრუნებასთან, მაგრამ სრულიად ახლებური ფორმით.

წიგნის დიდი ნაწილი ეთმობა ტიცვიან ტაბიძის – პოეტის შემოქმედებითი მიმართების ჩვენებას გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას პოეზიასთან. გასათვალისწინებელია, რომ ლიტერატურული გავლენის კვლევა უაღრესად რთული ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემაა.

ხშირად, როცა ხელოვანის განსაკუთრებულობა, მისი გამორჩეულობა უნდა უჩვენონ, მას წარმოგვიდგენენ ყოველგვარი ლიტერატურული გავლენისაგან განთავისუფლებულად, ამგვარად, სურათის დახატვა თუ შეუძლებელს არ გახდიდა, ერთობ გააძნელებდა მანც ამ ხელოვანისათვის გარკვეული ადგილის მიჩენას ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ამგვარი დასკვნა, გვსურდა თუ არა, იმის აღიარებამდე მიგვიყვანდა, რომ ეს მწერალი გამოთიშულია ლიტერატურის განვითარების ბუნებრივი ისტორიიდან. მეცნიერული თვალსაზრისით ასეთი აზრი შეუწყნარებელია, მით უმეტეს, რომ არც შეიძლება არსებობდეს ისეთი ჭეშმარიტი ხელოვანი, რომელიც არ იყოს დაკავშირებული თავისი ლიტერატურის ტრადიციებთან.

როგორც აღინიშნა, გავლენებზე საუბარი რთული საქმეა. რამდენადაც იგი ეხება პოეტის შემოქმედების ღრმა ფენებს, ხოლო დიდი ნიჭის შემთხვევაში არსებითად თვალთ უხილავ სფეროს. თქმული იმასაც გულისხმობს, რომ ასეთი კვლევის შემთხვევაში ხშირად გვაქვს საქმე ვარაუდების სფეროსთან. ძნელია, თუ შეუძლებელი არა, ჭეშმარიტი შემოქმედის თხზვის შინაგანი მექანიზმის ცხადყოფა. მკვლევრისგან ამგვარი მუშაობა დიდ დაკვირვებულობას, შინაგან ალღოს, სიფრთხილეს მოითხოვს.

უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მკვლევარმა ძირითადად თავი გაართვა ამ ძნელ ამოცანას და შემოგვთავაზა ანგარიშგასაწევი, საინტერესო დაკვირვებები. გვაგრძნობინა, თუ რას ნიშნავს პოეტ ტიციან ტაბიძისათვის XIX საუკუნის დიდი გიგანტების გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას შემოქმედება. თუ როგორ აისახა მათი პოეზიის გავლენა ტიციანის სულზე. ამ მხრივ კვლევას, ჩანს, ისიც უწყობდა ხელს, რომ ხატია შევარდნაძე თავად არის პოეზიასთან წილნაყარი, თვითონ წერს ლექსებს.

ნაშრომის ავტორი, გარდა შემოქმედებითი მიმართების ჩვენებისა, ცალკე თავში საინტერესოდ განიხილავს ტ. ტაბიძის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, რომლებიც XIX საუკუნის მწერლებს ეხება. ბოლო IV თავში განხილულია ქართული საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი სულ ახლახან გამოქვეყნებული ტიციან ტაბიძის ნარკვევი „ახალი ქართული ლიტერატურა“ და აქაც საყურადღებო დასკვნებია გაკეთებული.

ფფიქრობთ, ტ. ტაბიძის მემკვიდრეობის ერთ ძალზე საყურადღებო ასპექტზე შეიქმნა ანგარიშგასაწევი ნაშრომი, რომელსაც მომავლის კვლევა-ძიება გვერდს ვერ აუვლის.

ნიგნი დააინტერესებს სტუდენტ-ახალგაზრდობას და საერთოდ ლიტერატურით დაინტერესებულ ფართო მკითხველს.

ლადო მინაშვილი